

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ ი

**„გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის
თაობაზე**

მუხლი 1. „გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში (ქ. თბილისი, 2005 წლის 23 ივნისი, №1767-რს) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ინსპექციის თანამშრომელი ვალდებულია რეგულირების ობიექტის ინსპექტირების დროს ეცვას სპეციალური ტანსაცმელი (უნიფორმა), თან ჰქონდეს პირადობის მოქმობა და მასზე გაპიროვნებული ლუქი და ბეჭედი, ასევე გემზე და სხვა მცურავ საშუალებებზე ინსპექტირების განხორციელებისათვის სპეციალური ვიშკელი, რომლის ნიმუშებსაც შეიმუშავენ სამინისტრო და ამტკიცებს მინისტრი“.

2. მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) გარემოს დაბინძურებით, ბუნებრივი რესურსების უკანონო გამოყენებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად რეგულირების ობიექტს წარუდგინოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (აუცილებელია სათანადო ოქმის გაფორმება), ხოლო მისი დაუკმაყოფილების შემთხვევაში 48 საათის განმავლობაში წარუდგინოს შესაბამისი სარჩელი სასამართლოში“.

3. მე-14 მუხლს დაემატოს „დ“ პუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს იყოს უნიფორმა ში და ჰქონდეთ ზონარგაყრილი ინსპექტირების ჟურნალი“.

4. მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 48 საათისა დადგენილი წესით გაასაჩივროს ინსპექციის თანამშრომლის ქმედება“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2008 წლის —
№ —